დამტკიცებულია
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის
2018 წლის 23 მაისის №42 ბრძანებით
ცვლილება 2020 წლის 10 დეკემბრის №151 ბრძანებით

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
ეთიკის კოდექსი
პრეამბულა

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი პროფესიული კადრების მომზადების კერაა. იგი ჰუმანიზმის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა ემსახურებოდეს საქართველოსთვის სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებას ცოდნისა და უნარების შეძენას პროფესიონალი კადრების ჩართულობითა და გახსნილი, ღია ურთიერთობების საფუძველზე. ეს მიზანი მიიღწევა:

- პროფესიული სწავლების მაღალხარისხოვანი განხორციელებით თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ გარემოში;
- კოლეჯის პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტურ კონტიგენტს შორის ობიექტური დამოკიდებულებით, მათი კეთილსინდისიერი საქმიანობითა და საკუთარი უფლება-მოვალეობების პირნათლად განხორციელებით;
- სწავლისა და სწავლების განხორციელებისას ქვეყნის საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულებით, პასუხისმგებლობითა და ტოლერანტობით.

კოლეჯი ცნობს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს, პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების, საერთო და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე და უზრუნველყოფს საკუთარი პერსონალის წარმომადგენლებისა და პროფესიული სტუდენტების ქცევის წესებისა და ეთიკური ნორმების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებასა და განვითარებას.

ეთიკის კოდექსის მიზანია:

- ❖ ხელი შეუწყოს კოლეჯში დისციპლინის დამკვიდრებას;
- ❖ განსაზღვროს კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტთა მისაღები ქცევის წესები კოლეჯის საქმიანობისაა და სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად;
- ❖ უზრუნველყოს კოლეჯში პოზიტიური სწავლებისთვის ხელშემწყობი კლიმატის შექმნა;

კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტების ვალდებულები არიან დაიცვან კოლეჯის ეთიკის კოდექსი, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების ძირითადი მიზნების ეფექტურად განხორციელების საზოგადოების წინაშე მაღალი ნდობისა და ავტორიტეტის მოპოვებასა და პრესტიჟის შემდგომ ამაღლებას.

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების ფარგლები

კოდექსის მოქმედება ვრცელდება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებზე, პროფესიული განათლების მასწავლებელზე, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე. კოდექსი შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, კოლეჯის წესდების, შინაგანაწესის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 2. კოდექსის დანიშნულება

კოდექსი მიზნად ისახავს კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების საქმიანობის პრინციპების, ქცევის წესებისა და ურთიერთობების ეთიკური სტანდარტების (ნორმების) ჩამოყალიბებას.

მუხლი 3. პერსონალი

პერსონალი ემსახურება რა კოლეჯის დანიშნულების, მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად განხორციელებას, ვალდებულია, თავის პროფესიულ/თანამდებობრივ საქმიანობაში დაიცვას შემდეგი პრინციპები და სტანდარტები:

ა) სამართლიანად და პატივისცემით მოეპყროს კოლეგებს, თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს, პატივი სცეს მათ პროფესიულ/თანამდებობრივ და სხვა საქმიანობას, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს მათი საქმიანობა და შრომის შედეგები;

ბ) არ დაუშვას უხეში და მიუღებელი კრიტიკა. კოლეგისა და პროფესიული სტუდენტის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული, დაუშვებელია კოლეგისა და პროფესიული სტუდენტის პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება ან ანონიმურად დადანაშაულება;

გ) ერთი და იმავე სახის პერსონალის წარმომადგენლებს შესაბამისი თანამდებობრივი საქმიანობის ფარგლებში თანაბრად და სამართლიანად უნდა გადაინაწილონ კოლეჯის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროფესიული მოვალეობები, აქტიური დახმარება გაუწიონ და ხელი შეუწყონ ერთმანეთს საქმიანობასა და პროფესიული განვითარების საქმეში;

დ) პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის უნდა არსებობდეს პატივისცემაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რომელიმე მხრიდან დაუშვებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია, მათ შორის რასობრივი, პოლიტიკური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების სქესის, ასაკის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

ე) პერსონალმა არ უნდა გამოიყენონ თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი ანგარების მიზნით, არ უნდა მოითხოვონ კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც მათ კოლეგებსა თუ პროფესიულ სტუდენტებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;

ვ) პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას, ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში კოლეჯის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას;

ზ) პერსონალმა და პროფესიულმა სტუდენტებმა თავი უნდა შეიკავონ კოლეჯის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა და ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი კოლეჯში მოვალეობების ჯეროვან განხორციელებას;

2. პროფესიული მასწავლებელი კოლეჯის ძირითადი საქმიანობის წარმმართველი ძალაა. ამ პერსონალის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, სისტემატურად იღწვოდნენ პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად. ამასთან, პერსონალს ეკისრებათ მოვალეობა, მიიღონ აქტიური მონაწილეობა კოლეჯის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებელი

პროფესიული განათლების მასწავლებელთა ძირითადი მოვალეობაა აღზარდოს და ჩამოაყალიბონ მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტები. ამ მიზნით მათ:

ა) სასწავლო პროცესი უნდა წარმართონ კოლეჯის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

ბ) დარგის შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და პროგრესის კვალდაკვალ უნდა მიმართონ წინადადებებით კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს სასწავლო კურსის თემატიკის და სტრუქტურის განახლების საჭიროების შესახებ, სრულყონ მისი წარმართვის მეთოდიკა;

გ) გაუწიონ პროფესიულ სტუდენტებს ხელმძღვანელობა, რისთვისაც ოფიციალურად გამოყონ დამატებითი საკონსულტაციო საათები;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ეთიკურ ნორმებს, დისციპლინასა და სამართლიანობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს არამარტო შრომისმოყვარე, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების, არამედ ქვეყნის პატრიოტი, პატიოსანი, თავისუფალი და კანონმორჩილი მოქალაქეების ჩამოყალიბებას. ამ მიზნით ისინი:
ა) ლექცია/მეცადინეობაზე უნდა შევიდნენ დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებულნი და მაქსიმალურად ორგანიზებულნი. არ უნდა დაუშვან ლექცია/მეცადინეობის დროზე ადრე დამთავრება ან/და გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე, დანიშნულ დროს სათანადო ნორმატიული აქტების შესაბამისად სამართლიანად და ობიექტურად შეაფასონ ყველა გამოცხადებული პროფესიული სტუდენტის ცოდნა;
ბ) უნდა ქმნიდნენ ყველა საჭირო პირობას პატიოსანი და გამჭვირვალე სასწავლო გარემოს ფორმირებისათვის, შეიმუშავებდნენ და ნერგავდნენ სწავლებისა და შეფასების ისეთ მეთოდებს, რაც განაპირობებს პროფესიული სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს; ხელს უნდა უწყობდნენ მოსაზრებათა და შეხედულებათა გაცვლას, რათა ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით გამოირიცხოს სხვადასხვა არასასურველი პრობლემის წარმოშობა.
გ) პროფესიულ სტუდენტებს უნდა აწვდიდნენ ამომწურავ ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ. უნდა გამორიცხონ შეფასებაზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფავორიტიზმი, პროტექციონიზმი, რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური თუ პოლიტიკური კუთვნილება, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ. არ დაუშვან ამგვარი ფაქტორებით პროფესიულ სტუდენტთა დისკრიმინაცია.
დ) არ დაუშვან პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის შესაძლებლობათა გამოყენება ანგარების მიზნით ან კოლეგებთან უთანხმოების ინსტრუმენტად;
ე) არ დაუშვან ისეთი ქმედება, რაც გამოიწვევს ან ხელს შეუწყობს რაიმე სახის დაპირისპირებას/უთანხმოებას კოლეჯის პერსონალში, პროფესიულ სტუდენტებს ან პროფესიულ სტუდენტებს და კოლეჯის პერსონალს შორის.

მუხლი 5. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოვალეობაა კოლეჯში შექმნას სასწავლო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო.
2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი პატივს უნდა სცემდნენ კოლეჯს და მის იმიჯს. კოლეგებს, თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს მოეპყრონ სამართლიანად და პატივისცემით, მათ უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციას. ამ მიზნით:

ა) უნდა ემორჩილებოდნენ კოლეჯის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და მოქმედ კანონმდებლობას;
ბ) არ უნდა მონაწილეობდნენ კოლეჯის ისეთ კომერციულ საქმიანობაში, საიდანაც მათ ან მათი ოჯახის წევრს პირადი სარგებელი გააჩნია, რაც კლასიფიცირდება, როგორც ინტერესთა კონფლიქტი, რაც თავიდანვე უნდა აღიკვეთოს;
გ) უფლება არ აქვთ მიიღონ საჩუქარი, თანხა ან/და რაიმე უკანონო სარგებელი კოლეჯის თანამშრომლებისაგან, პროფესიული სტუდენტებისაგან ან სხვა დაინტერესებული პირებისაგან;
დ) კოლეჯის საჭიროებისათვის ეფექტიანად უნდა გამოიყენონ კოლეჯის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები;

ე) არ უნდა გაამჟღავნონ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა;

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტი

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს კოლეჯს, სადაც ის ცოდნას ეუფლება, ისწავლოს, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა აქტივობაში, დაიცვას ეთიკის კოდექსი და კოლეჯის მოქმედი სხვადასხვა ნორმატიული აქტის მოთხოვნები. ხელი შეუწყოს კოლეჯის ავტორიტეტის ამაღლებას.
2. პროფესიულმა სტუდენტმა პატივი უნდა სცეს ყველა სახის პერსონალის წარმომადგენლებს . პრობლემების/კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაჭრა უნდა მოხდეს კოლეჯის წესდების, სხვა სამართლებრივი აქტებისა და ამ კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.
3. პროფესიულ სტუდენტს უფლება არ აქვს შეურაცხყოფა მიაყენოს კოლეჯის პერსონალის წარმომადგენლებს, სხვა სტუდენტებს ან მიმართოს ძალადობას მათ მიმართ, პირადი სარგებლის სანაცვლოდ სხვა სტუდენტებს, პერსონალის წარმომადგენლებს შესთავაზოს/მოსთხოვოს რაიმე სახის სარგებელი.
4. პროფესიულ სტუდენტს უფლება არ აქვს, ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე, კერძოდ:

ა) გადაიწეროს სხვა პროფესიული სტუდენტის ნამუშევრიდან ან გამოიყენოს სხვა სახის დამხმარე მასალა, რომელიც პროფესიული მასწავლებლის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;

ბ) სხვა პროფესიული სტუდენტის ნაცვლად ჩააბაროს გამოცდა ან სთხოვოს სხვა პირს, მის მაგივრად გამოცდის ჩაბარება;

გ) მოიპოვოს კონფიდენციალური ინფორმაცია გამოცდის შესახებ;

დ) სხვა პირის ნამუშევარი წარმოაჩინოს როგორც საკუთარი.

ე) შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე მოახდინოს სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება.

ვ) გააყალბოს თავისი (პერსონალური, სასწავლო) მონაცემები.

ზ) მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლოს, გაანადგუროს ან შეცვალოს სხვა სტუდენტის ნამუშევარი;

თ) ხელი შეუშალოს სხვა პროფესიულ სტუდენტებს სწავლის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მართლსაწინააღმდეგო დაუფლებით ან განადგურებით.

ი) ხელი შეუწყოს სხვა სტუდენტს აკადემიურ სიყალბეში;

კ) გამოიყენოს ან გააყალბოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ფაქტობრივი ინფორმაცია;

ლ) გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია;

მ) გააყალბოს სხვისი ხელმოწერა ან/და სხვა რაიმე დოკუმენტი.

5. აკადემიური სიყალბის შემჩნევის/დაფიქსირების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას.
6. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, კოლეჯის მიერ დადგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის მოდული, რომლის სწავლება სავალდებულოა. დაიცვას კოლეჯის წესდება, შინაგანაწესი, ეს კოდექსი სხვა სამართლებრივი აქტები;

მუხლი 7. კოლეჯი და პერსონალი/პროფესიული სტუდენტი

1. კოლეჯი:

   ა) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას.

   ბ) უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული სწავლებისა და საქმიანობის შესაბამის პირობებს. ზრუნავს თავისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

გ) ხელს უწყობს თანამშრომლობას ადგილობრივ და საერთაშორისო შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

დ) უზრუნველყოფს ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას და ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

2. კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა ;

ბ) დაიცვას კოლეჯის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნები;

გ) დაიცვას ამ კოდექსის მოთხოვნები;

დ) დაემორჩილოს კოლეჯის ადმინისტრაციული აქტების მოთხოვნებს;

ე) შეასრულოს შრომითი/საგანმანათლებლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ვ) გაუფრთხილდეს და დანიშნულებისამებრ და ეფექტურად გამოიყენოს სასწავლო მასალა/ინვენტარი/აღჭურვილობა;

ზ) დროულად აცნობოს ადმინისტრაციას მისი გადაწყვეტილება კოლეჯის დატოვების შესახებ.

3. კოლეჯი უფლებამოსილია:

ა) შუფერხებლად განახორციელოს საკუთარი წესდების, შინაგანაწესის, ამ კოდექსისა და ადმინისტრაციული აქტების მოთხოვნათა შესრულების მონიტორინგი;

ბ) ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე განახორციელოს სტუდენტების და პერსონალის ნარკოლოგიური შემოწმება;

გ) მოსთხოვოს პერსონალს და პროფესიულ სტუდენტებს საჭირო დოკუმენტების წარმოდგენა (ჯანმრთელობის ცნობა და ა.შ.);

დ) მოსთხოვოს ნასამართლეობის ცნობის წარმოდგენა;

ე) ნასამართლეობის ან/და ნარკოტიკური ნივთიერებების მოხმარების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია საქმე შესწავლისა და სათანადო რეაგირებისათვის გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს.

მუხლი 8. პლაგიატი

1. პლაგიატია ყველა ის ტექსტი/ფრაზა/იდეა/ კველვის მონაცემი, რომელიც გამოიყენება კონკრეტული პირის მიერ, საკუთარ ნაშრომში, ავტორის/წყაროს მითითების გარეშე.
2. წყაროდ გამოიყენება მატერიალურ და ელექტრონულ მატარებლებზე განთავსებული წიგნები, სტატიები, სახელმძღვანელოები, ბლოგები, ასევე, მასალა, რომელიც არ არის გამოქვეყნებული, მათ შორის, სტუდენტის კონსპექტი, საგამოცდო ნამუშევარი.
3. პლაგიატი არაკეთილსინდისიერი ქცევაა, რომელიც ლახავს პიროვნების ღირსებას, აკნინებს მის ინტელექტუალურ იმიჯს და ეწინააღმდეგება საუნივერსიტეტო საზოგადოების ეთიკის კოდექსს.
4. განასხვავებენ პლაგიატის ორ ფორმას - უნებლიე პლაგიატი და განზრახ პლაგიატი.
5. პლაგიატად ჩაითვლება ნაშრომი, რომელშიც :

ა. ციტირებულია სხვა ავტორის აზრი (გადაწერილია ფრაზები, აბზაცი ან აბზაცის ნაწილი) და არ არის გამოყენებული ე.წ. ბრჭყალები ავტორის/წყაროს მითითებით ან ტექსტი არ გამოიყოფა სხვა საშუალებით (მუქი შრიფტი, დახრილი შრიფტი...). ეს შეიძლება ჩაითვალოს განზრახ პლაგიატად.

ბ. გაკეთებულია პერიფრაზი (წყაროდან ამონარიდი ტექსტის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა), რომელშიც ორიგინალური ტექსტის ფრაზები ოდნავ არის შეცვლილი და წარმოდგენილია, როგორც საკუთარი (შეიძლება ჩაითვალოს უნებლიე პლაგიატად).

დ. კოპირებული და გამოყენებულია სხვადასხვა ვებგვერდის/პორტალის მასალა (კვლევის შედეგები, ცხრილები, გრაფიკები და ა.შ.) წყაროს მითითების გარეშე (განზრახ პლაგიატი).

ვ. ნაშრომში გადმოტანილია ამონარიდები სხვადასხვა წყაროდან შესაბამისი მითითების გარეშე (განზრახ პლაგიატი). ამ ხერხს კომპილაცია ჰქვია. ის დაშვებულია პრაქტიკაში, შესაბამისი ფორმატის ნაშრომებში (მაგ.: სახელმძღვანელო), მაგრამ მხოლოდ წყაროს მითითების შემთხვევაში.

მუხლი 9. ადმინისტრაციული ზომები პლაგიატისთვის

1. გამოცდისთვის/დაცვისთვის წარდგენილი ნაშრომის პლაგიატს ან მონაცემთა გაყალბებაზე ეჭვის შემთხვევაში, თუ ავტორი არ აღიარებს პლაგიატს - დირექტორის ბრძანებით იქმნება საექსპერტო კომისია არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით, რომელიც შეისწავლის ნაშრომს, შედეგები წარედგინება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.
2. იმ შემთხვევაში თუ კომიტეტი მიიღებს ცნობად კომისიის დასკვნას, ხოლო კონკრეტული ფაქტი პირველად ჩაითვლება - კომტეტმა შეიძლება მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:
   ა. მიეცეს გაფრთხილება;
   ბ. დაავალოს სასწავლო პროცესის მენეჯმენტს განახორციელოს მისი შემდგომი ნაშრომების გადამოწმება;
3. ფაქტის განმეორების შემთხვევაში, კომიტეტი უფლებამოსილია აღძრას საკითხი დირექტორის წინაშე პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.
4. იმ შემთხვევაში თუ პირი აღიარებს პლაგიატს მას მიეცემა დრო ნაშრომის კორექტირებისთვის და არ დაიშვება გამოცდაზე მის გამოსწორებამდე.
5. საკვალიფიკაციო ნაშრომი უნებლიე პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, უბრუნდება ავტორს კორექტირებისთვის და არ დაიშვება პრეზენტაციაზე.
6. საგამოცდო ნამუშევრის გადაწერის შემთხვევაში სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ორივე ნაშრომი ფასდება 0-ით თუ არ გამოიკვეთა გადამწერი სუბიექტი.
7. საგამოცდო ნაშრომის გადაწერა წიგნიდან ან სხვა წყაროდან, თუ ფორმატი არ ითვალისწინებს მის გამოყენებას, ფასდება 0-ით.
8. კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს ბრძანება კომისიის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 10. პლაგიატისგან თავის დაცვა

1. პლაგიატის უნებლიედ დაშვებისგან თავის არიდების მიზნით საჭიროა ზუსტი ზღვარის გავლება ე.წ. ზოგად ცოდნასა და კონკრეტული ავტორის/ავტორთა მიერ შექმნილ ცოდნას შორის. მაგ.: ის, რომ საბაზრო ეკონომიკა მოთხოვნა-მიწოდების პრინციპზეა აგებული, საყოველთაო ცოდნაა, მაგრამ თუ რომელიმე მეცნიერმა აღმოაჩინა ამ პრინციპის მოქმდების თავისებურება კონკრეტულ გარემოში, ხოლო ამ აზრის განვითარება სურს ნაშრომის ავტორს, აუცილებელია იმ მეცნიერის მითითება, თავის ნაშრომთან ერთად, რომელმაც ეს თავისებურება აღმოაჩინა. თუ ნაშრომის ავტორისთვის საეჭვოა წყაროს მითითება-არმითითების საკითხი - უმჯობესია გაიაროს კონსულტაცია სხვა მეცნიერთან ან მიუთითოს წყარო, ვიდრე ტექსტი ჩაითვალოს პლაგიატად.

2. პერიფრაზი - წერის ამ ტექნიკის გამოყენების გარეშე, შეიძლება ითქვას, ნაშრომები, თითქმის, არ იწერება, მაგრამ პერიფრაზი არ გულისხმობს ორიგინალური ტექსტიდან მხოლოდ ცალკეული სიტყვების შეცვალას. ეს ნიშნავს ამ ტექსტის გარკვეული ნაწილის შინაარსის გადმოცემას საკუთარი სიტყვებით, ამასთან, ავტორისათვის დამახასიათებელი სტილით და ნაშრომის კონტექსტის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ პერიფრაზში ნაშრომის სულისკვეთება

იგრძნობოდეს. ამით ის მთლიანი ტექსტის ორგანულ ნაწილად იქცევა. ამ შემთხვევაში აუცილებელია ავტორის/წყაროს მითითება, რადგან პერიფრაზი სხვისი აზრის გადმოცემაა.

3. ციტირება - ავტორის აზრების/შეხედულებების გამოყენებაა მისი სიტყვების შეუცვლელად გადმოტანის გზით საკუთარ ნაშრომში. ამ შემთხვევაში ციტირებული ტექსტი უნდა ჩაისვას ე.წ. ბრჭყალებში ან გამოიყოს მუქი/დახრილი შრიფტით და მიეთითოს წყარო უნივერსიტეტში დადგენილი წესით.
4. ციტირების დროს შეიძლება ტექსტშივე მიეთითოს ავტორი. მაგ.: ...ამასთნ დაკავშირებით პროფესორი მ.შენგელია წერს: „ შრომის ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყოველწლიურად იცვლება დასაქმებულთა რიცხვი... “. იგივე ფორმა შეიძლება გამოვიყენოთ პერიფრაზის დროსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ე.წ. ბრჭყალები არ გამოიყენება. მაგ.: როგორც პროფესორი მ. შენგელია წერს შრომის ბაზრის მაჩვენებელი არასტაბილურია... ორივე მაგალითის
   შემთხვევაში აუცილებელია წყაროს მითითება.
5. რეზიუმირება - გულისხმობს მთლიანი წყაროს ან ამ წყაროს ნაწილის ზოგადი აზრის
   რეზიუმირებას და გამოყენებას ნაშრომში შესაბამისი წყაროს მითითებით.

მუხლი 11. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. ეს კოდექსი ძალაში შედის კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებისთანავე.